# დროება

რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზედ. ივ. მუხრანსკის სახლებ-
ში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა
მიიღება თფილისში „დროების“-„ივერიის“ რედაქცია-
ში, ქუთაისში: „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭუთხაძე-
სთან ხიდზედ. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ,
въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი
წელიწადში. 6 თვეს. 3თვეს
„დროების“ და „ივერიის“ ერთად 14 მან. . 8 მ. . 5 მ.
ცალკე { „დროების“ . . . . . 9 მან. . 5 მ. . 3 მ.
ცალკე { „ივერიის“ . . . . . 7 მან. . 4 მ. . 2 მ.

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილი ასოებით ასო-
ზე ნახევარი კაპ., ... ...
ასოზე მეოთხედი კაპ.
თუ ხანგრძლივ მოითხოვს, რედაქცია გაანზრახებს
და მუდმივებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. და-
უბეჭდავ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს
ავტორს.
განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ
ენებზედ.
ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“
აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

სავაჭრო სახლი

## „ძმათა კ. და ს. პაპოვებისა“

მოსკოვში

კანტორა იმყოფება კუზნეცის ხიდზედ, კ. ს. პაპოვის სახლებში.

პატივი გვაქვს ვაცნობოთ საზოგადოებას, რომ ჩვენი ფირმის ჩაის სა-ვაჭროთ, გავმართეთ საკუთარი მაღაზიები ქვემო-მოყვანილ ქალაქებში:

**ხარკოვში**—პენგროვის ქუჩაზე, საკუთარს სახლში.
**თბილისში**—გოლოვინის პროსპექტზე, მირიმანოვის სახლებში.
**სევასტოპოლში**—ბოლშაია მარსკაიას ქუჩაზე, ვაჭრის კოგენის სახლში.

როგორც ამ მაღაზიებში, აგრეთვე **პეტერბურღში, ვარშავაში** და **კიევში** ჩვენ მაღაზიებში, ჩაი აწონილია გირვანქებათ, ნახევარ და მეოთხედ გირვანქებათ და გაიგზავნება ყოველგან უმთავრესი მაღაზიიდამ, რომელიც იმყოფება მოსკოვში კრასნოსელსკის ქუჩაზე, საკუთარს სახლეაში. (30—16)

## ტელეგრამმები

(„კავკასიური ტელეგრაფის სააგენტოსი“)

**პეტერბურღი**, 8 სექტემბერს დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს-ძე თავის მეუღლით სამზღვარ გარეთ წაბრძანდა.

**უაშინგტონი**, 7 სეკტემბერს. ამერიკის რესპუბლიკის პრეზიდენტი გარფილდი გარდაიცვალა.

## არხეოლოგიურ კრებაზედ.

თბილისი, 9 სეკტემბერს.

როგორც ადრევე იყო გამოცხადებული, გუშინ დილით გაიხსნა ჩვენს ქალაქში არხეოლოგიური კრება.

ეს მეხუთე კრებაა რუსეთში. პირველი იყო კიევში, მეორე მოსკოვში, მესამე პეტერბურღში და მეოთხეც ყაზანში.

არც ერთს ამ წინანდელ კრებაზე არ დასწრებია, აღმოჩენილა იმდენი ხალხი—მსურველი მეცნიერ არხეოლოგების კრებებში მონაწილეობის მიღებისა, რამდენიც აღმოჩნდა ჩვენს ქალაქში: არსად 250—300 კაცზე მეტი არ ესწრებოდა ამათ სხდომებს; აქ ჩვენს ქალაქში კი რვაას კაცმა აიღო წევრის ბილეთი და, კიდე ბევრი არიან მსურველნი.

ეს გარემოება, ეს ინტერესი არხეოლოგიურ მეცნიერებისადმი ადვილად გასაგებია ჩვენს ქვეყანაში. არა თუ რუსეთი, ძველს საბერძნეთსა და რომს გარდა, მგონია არც ერთი სხვა ქვეყანა დედა-მიწის ზურგზე არ წარმოადგენს ისეთს მდიდარს ნიადაგს არხეოლოგიისათვის, როგორც ჩვენი კავკასია; და ამასთანავე არც ერთი სხვა ქვეყანა არ არის ისე ნაკლებად გამოკვლეული, არხეოლოგიის მხრით, როგორც ჩვენი.

ასეც რომ არ იყოს, არხეოლოგია ისეთი საინტერესო საგანია, რომ გასაკვირველი არ არის ამ შემთხვევაში ჩვენი საზოგადოების ინტერესი და ცნობის-მოყვარეობა; არხეოლოგია იკვლევს ჩვენ წინაპართა, ძველ ხალხების სხვა-და-სხვა ნაშთებს, იმათ ხელობას, იმათგან აგებულ შენობებს, იმათ დატოვებულ ხელ-ნაწერებს, და ყველა ამის საშუალებით, იკვლევს თვით ამ ერთა ცხოვრებას, ხასიათს ზნეს, ჩვეულებას, ერთმანერთთან დამოკიდებულებას, სწავლა-მეცნიერებას და სხვ.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ ისტორიულ ჭეშმარიტებას, რომ ყოველი ერის მომავალი ცხოვრება და წარმატება წარსულზე არის დამოკიდებულიო, რომ კაცობრიობის ცხოვრება ნახტომით არ მსვლელობსო, იმ ჭეშმარიტებას, რომელიც ასე ლამაზათ და ლაკონიურად წარმოსთქვა ჩვენმა პოეტმა: „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“,—მაშინ არხეოლოგიის მნიშვნელობას დავაფასებთ და ადვილად გავიგებთ ყველა განათლებულ ხალხის ინტერესს ამ მეცნიერებისადმი.

მაგრამ ჩვენთვის ამ მეცნიერებას ერთი-ორად უფრო მომეტებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. ჩვენი აწმყო თითქმის არაფერს სანუგეშოს არ წარმოგვიდგენს. დროთა-ვითარებისა და უბედურ ისტორიულ გარემოებათა წყალობით, ჩვენ ახლა ისეთს მდგომარეობაში ჩავვარდნილვართ, რომ ბედი თითქო გაქარვებას, მოსპობას გვიქადის: თავისებური განსხვავებული სახე თითქო ნელ-ნელა და შეუმჩნეველად ეკარგება ქართველობას; ქართულ ენასაც კი, ენას, რომელიც ყოველის ერის არსებობის აუცილებელ კუთვნილებას შეადგენს, ამ ენასაც კი ემუქრებიან.

არხეოლოგიის, წინაპართა ცხოვრების შესწავლით, ჩვენ მოგველის განახლება, განცხოველება, მოგველის ზნეობით ამაღლება და გამაგრება „ჭირსა შინა“. ჩვენი ძველი ცხოვრება ბევრ ისეთს მაგალითებს წარმოგვიდგენს, რომელსაც ჩვენ დაცემულ სულის და გალაჩრებულ გვამის გამხნევება და ზნეობით აწევა შეუძლიან. ბოჰემიის, ვენგრიის, ბოლგარიის, საბერძნეთის და სხვა წვრილ ხალხების მაგალითი გვიჩვენებს—თუ რა ფეხზე-დამყენებელი, გამამხნევებელი ზედ-მოქმედება აქვს წინაპართა გმირულ ცხოვრების შესწავლას მიხრწნილ ხალხისათვის.

ამიტომაც ყველა კეთილ-გონიერი ქართველი თანაგრძნობას უნდა უცხადებდეს იმ მეცნიერ არხეოლოგოსთა კრებას, რომელიც ჩვენს ქალაქშია ამ ჟამად. ეს კრება ჩვენებურ და უცხო ქვეყნებიდამ ჩამოსულ მეცნიერთა იხმარება და ხელს უწყობს, არა თუ მარტო პირ-და-პირ მეცნიე-

---

«დროების» ფელეტონი, 10 სეკტემბ.

## ღმერთო მაშორე!

მოვედ, უფალო, ეკკლესიაში,
ცრემლს ვღვრი შენდამი მეტანიაში,
ისმინე ჩემი ვედრება სწორე:
დამხსენ ბოროტსა, და ფარისეველს
ღმერთო მაშორე, ღმერთო მაშორე!

—

სწავლაში მომეც მეხსიერება,
რომ შევიძინო მეცნიერება,
თორემ მარტუია სიბრიყვეს ყორე...
უნიჭო ოსტატს, ბერძნულს, ლათინურს
ღმერთო მაშორე, ღმერთო მაშორე!

—

ბედნიერება მომმისთვის არ მშურს,
ომი არ მიყვარს სისხლი არა მწყურს,
მიყვარს სიცოცხლე მშვიდი და მდორე...
ხმალსა, ზარბაზანს, თოფს და დინამიტს,
ღმერთო მაშორე, ღმერთო მაშორე!

—

ფული არა მაქვს! ვინ მომაქცევს?
ამდენმა ვალმა სულ გამათავა....
სესხზედ, თუ მიჭირს—არა ვარ შორე,
მაგრამ ვღალადებ ყასუმას ბანკსა
ღმერთო მაშორე, ღმერთო მაშორე!

—

ქალს ვეტრფვი ყველას, ბებრების გარდა..
ან კი რას ვაქნევ, რაც გადაგვარდა?...
მხოლოდ არ მიყვარს ქალი მეჭორე...
ერთსაც ვთხოულობ: შლეიფს, კრინოლინს
ღმერთო მაშორე, ღმერთო მაშორე!

—

მიყვარს სამშობლო და დედა ენა,
ღმერთო შენ მიე ქართველებს ლხენა,
რომ იქმნენ სწავლით სხვის თანასწორე!
თემურსა და ყრუს, უცხოს, ურჯულოს
ღმერთო მაშორე, ღმერთო მაშორე!

თ. რაფ. ერისთავი.

## ქუთაისური ამბები

პირველს ენკენისთვეს ჩვენს ქალაქში, შვიდი თვის ლოდინის შემდეგ დაიბადა გაზეთი „შრომა“—ერთი მეგრელი ძიძის, ერთი ექიმის და ზოგიერთა „პედაგოგების“ დახმარებით, როგორც ამბობს ამ ახალი გაზეთის ფელეტონე—თანამშრომელი. გაზეთის მიზანზე, მისი წინა-სტატიაში გამოთქმასა და ავ-კარგიანობაზე საზოგადოდ „დროების“ რედაქციამ უკვე წარმოსთქვა თავის აზრი.

ჩვენ ვსურს ახლა რამდენიმე მხარეებზე ამ მიზნისა და საშუალებისა კერძოდ, ცოტათი უფრო დალაგებით მივაქციოთ „შრომის“ და ქართველ საზოგადოების ყურადღება.

„შეერთებული შრომა, საზოგადო აზრი და საზოგადო სარგებლობა, აი ეს „შრომის“ მიზანი და საშუალება მიზნის მისაღწევიო“,

ამბობს, გაზეთი. ეს დაპირება მოსაწონია და პატიოსანი. მაგრამ, როგორ ჰფიქრობს ამ მიზნის მიღწევას და რას მოიხმარს მთავარ საშუალად მისს მისაღწევად—ამას კი, ჩვენის აზრით, სათანადოდ ვერ არკვევს ნორჩი გაზეთი ვერც წინა-სტატიაში და ვერც ფელეტონში... ჭეშმარიტების ქადაგებით, საზოგადო მომქმედთ პირთა ღირსების მებრ დაფასებით, და ყოველის მოქმედებით და სიტყვითა იმ აზრის დაცვით, რომ ყოველივე (თუ ყველ-ფერი?) დამოკიდებულია პატიოსანს შრომაზედ და თავის მიზანს ყველაზე უფრო ადრე ის უახლოვდება, ვინც მეტს შრომობს ცხოვრების ასპარეზზედ,—ჰფიქრობს იგი თავის მიზნის მიღწევას შეჭველია, რომ ყოველს დამოუკიდებელის სახელმწიფოის ცხოვრების წარმატება შეიძლება ამ საშუალებით. ამისთანა სახელმწიფოში ერი ძლიერად ჰგრძნობს თავის ეროვნების ძალას, სულს და განსხვავებას სხვა ერთაგან; იგი დაიმედებულია თავის ძალ-ღონეზე, მისი ცხოვრება შეუფერხებლად მსვლელობს ორგანიულის განვითარების გზაზედ. მაშასადამე, იქ თითქმის სრულიად საკმაოა მხოლოდ აწ მყოზე დამყარება და თანამედროვე არსებით საქმეთა გარდაწყვეტა უფრო რიგიანის მომავალის მოსამზადებლად...

ჩვენში, საქართველოში სხვა რიგი საშუალების ხმარებაცაა საჭირო, და ამ საშუალებას უფრო უნდა მიექცეს ყურადღება და მეცადინეობა ვიდრე ზემოხსენებულთა.

ეს უკანასკნელი საშუალება ვახლავს—დატანჯული ერის ეროვნული ვინაობისა და ისტორიის აღდგინება და მათი შეგნება; ღირსეულის აღწერილობის შემწეობით გაცოცხლება დიდებულთ წინაპართა, მამულის-შვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულ ჭეშმარიტების გამოკვლევას და აღდგენას, არამედ თვით ჩვენს, ქართველების არსებით საქმესაც, თვით ჩვენს გამხნევებას, გამაგრებას და სწორ გზაზე დადგომასა და წარმატებას.

## ახალი ამბები.

ზეშინ წინ ჩვენს ქალაქში ერთი უბედურება მოხდა: 16 წლის ახალგაზდა ქალმა Iაგოროვისამ თავი მოიკლა. თოფი მიუდვია გულზე, დაუცლია და ისე გამოთხოვებია ამ წუთი-სოფელს. ეს საცოდავი ქალი გიმნაზიის მეექვსე კლასში ყოფილა. დღე-ნახევარი უცოცხლია დაჭრილობის შემდეგ, მაგრამ მიზეზი—თუ რისთვის მოიკლა თავი, რამ აიძულა ახალგაზდა სიცოცხლის მოსპობა—არ უთქვამს. ზამოძიება დანიშნული

***

ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში „სომხების ქველმოქმედ საზოგადოების წესდება“ კავკასიის მთავარ-მმართებლის მოადგილისაგან დამტკიცებული. დანიშნულება ამ ახალ საზოგადოებისა, როგორც წესდებაშია მოხსენებული, იმაში მდგომარეობს, რომ „კავკასიის აქეთა და იქითა მხრის სომხებში განათლების გავრცელებას დაეხმაროს და აგრეთვე ღარიბ სომხებსაც ნივთიერი შემწეობა აღმოუჩინოს“.

სწავლა-განათლებაში ხალხის დასახმარებლად საზოგადოება იმავე საშუალებას იხმარს, როგორც ჩვენი „წერა-კითხვის საზოგადოება“, ე. ი. გახსნის ახალ სკოლებს, ხელს მოუწყობს ძველებს, ჰბეჭდავს სახალხო წიგნებს, ბიბლიოთეკებს და სხვ. ამას გარდა, ქველმოქმედის მიზნით, ჰმართავს საავათმყოფოებს და გაჭირების დროს (სიძვირეში, ცეცხლისა და ჭირისაგან დაზარალებულს) ხელს უმართავს.

## არხეოლოგიური კრება.

ოთხშაბათ საღამოს, როგორც ვაცხადებდით ჩვენი გაზეთის უკანასკნელ ნომერში, თბილისის საზოგადოებამ პირველათ ინახულა ევროპიდამ და რუსეთიდამ ჩამოსული ძვირფასი სტუმრები. სასახლის ბაღი, სადაც იყო დანიშნული საღამო, მეშვიდე საათიდამ ჩირაღდნებით იყო განათებული და ბაღის ზემო ნაწილში აუზის გვერდით მუზიკა უკრავდა. დიდს ალლეიაში იყო გამართული ბუფეტი.

საათის შვიდზე ბაღს სამას-ოთხასი კაცი მოაწყდა. ამავე დროს გამოვიდნენ „ჩამოსული სტუმრებიც.“ ყოველი კაცი ეძებდა ვირხოვს, კოსტომაროვს, ჩუბინოვს, ემინს, პატკანოვს, ოქრომჭედლიძეს, ცაგარელს. ვირხოვის მეტი ყველა ესენი იყვნენ ბაღში და ყველამ მათი ნახვით სურვილი მოიკლა.

ყველასგან პატივცემული შესანიშნავი რუსის პროფესორი კოსტომაროვი, ღრმათ მოხუცებული კაცია; სუსტის აგებულობისა; გატეხილის ხმით მოუბარი. ბატ. ჩუბინოვი, ჩვენი დამსახურებული პროფესსორიც თითქმის კოსტომაროვის ხნისაა, საამო სანახი, ტკბილათ მოუბარი.

კოსტომაროვს ყველა მისი თბილისელი ნამოწაფევები დასდევდნენ მორიდებით და სიყვარულით. ერთი მეგობარიც ამოუჩნდა იმას თბილისში. ეს არის ბატ. ზულაკი, კლასსიკური გიმნაზიის ოსტატი, რომელიც თურმე **въ годину горя и печали** მისი ამხანაგი იყო.

საღამოს თორმეტ საათამდინ გასტანა. ალლეიაზე მუქთი ბუფეტი იყო გაკეთებული და ხალხი მიირთმევდა მეთოთხმეტე საუკუნის ღვინოს, მეთექვსმეტე საუკუნის ყურძენს და სხ., როგორც ამბობდენ ხუმარა—კაცები.

—

სამშაბათს, 1 საათზე, როგორც წინათ—ნათქვამი გვქონდა, უნდა ოფიციალურათ გამართულიყო კრება. ჯერ დილით, საათის თერთმეტზე, ყველა „ჩამოსული სტუმრები“ ბატ. კამაროვის თაოსნობით, წავიდნენ და ინახულეს ნამესტნიკის თანამდებობის აღმასრულებელი თავ. მელიქოვი, რომელმაც მხიარულებით მიიღო ისენი. მერე ნაშვადღევს, დანიშნულ დროზე, კრების წევრნი შვიდას-რვაასი კაცი (სულ არის 850) შეკრბენ სასახლის წინა ზალაში, საცა უნდა მომხდარიყო ცერემონია.

—

ეს ზალა ყველაზე უდიდესი ზალა არის სასახლეში. ათასი, ათას-ორასი კაცი თავის-უფლად დაეტევა აქ. ზალის ბოლოში იდგა, დიდი, წითლად მოსილი სტოლი, რომლის მარცხნივ იდგა კათედრა და სტენოგრაფების სტოლი და მარჯვნივ ჟურნალისტების ადგილი იყო, წითლად მოსილისავე სტოლის გარშემო. დიდ-ზალის გვერდით, ორს მახლობელ ზალაში, იყო გამოფენილი სხვა და სხვა არხეოლოგიური საგნები (რომლებსაც ჩვენ შემდეგში დაუბრუნდებით) და მესამე ზალაში, კავკასიის მთავარ-მმართველობის ზალაში, იყო გამართული ჟურნალ-გაზეთებით საკითხავი კაბინეტი.

(გაგრძელება)

## წერილი პარიჟიდამ.

ოთხ სექტემბერს იყო კენჭის-ყრა იმ 64 კანდიდატისა, რომელთაც პირველად არ ერგოთ კანონიერი უმრავლესობა კენჭისა; ამ რიცხვიდამ ხუთი დეპუტატი პარიჟს ერგებოდა და დანარჩენი დეპარტამენტებს. როგორც 21 აგვისტოს, ბელგვილის უბანი იყო შესამჩნევი და საინტერესო, ისე ახლაც 4 სექტემბერს.

მკითხველმა იცის წინანდელი წერილიდამ, რომ ბელვილში მეორე განყოფილებაში ზამბეტტამ მხოლოთ ერთი ხმა მეტი მიიღო თავის მოპირდაპირე ტონი რევილლიონზედ და ამის გამო კენჭი უნდა ეყარა ხელმეორედ. მაგრამ ზამბეტტამ უფრო გონიერად დაინახა მიეტოვებია თვისი კანდიდატობა ამ განყოფილებაში და გარდაეცა ბ. სიკისთვის, პარიჟის სამოქალაქო რჩევის წევრისთვის. ამავე დროს ბელვილის ამომრჩევლებს მისწერა წერილი, რომელშიაც მადლობას უძღვნიდა და უცხადებდა, რომ თქვენი შემწეობა ჩემის ავტორიტეტისა და ძალისთვინ უსაჭიროესი არისო; ვკმაყოფილდები იმით, რომ პირველ განყოფილებაში ვარ ამორჩეული, რომ ჩემ პოლიტიკის დროშაზედ ეწერება შემდეგისთვინ: „წინ, წინ და არას დროს უკან“.

ერთის მხრით ზამბეტტას უნდოდა ამ წერილით დაემშვიდობებინა საზოგადო აზრი, გაექარვებინა ის ცუდი შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა იმისაგან ბელვილში წარმოთქმულ სიტყვებმა: „გაჩუმდით, თქვე ლოთო მონებო! გაჩუმდით, თქვე მყვირალებო! მე თქვენ გიცნობთ ვინცა ხართ; მე თქვენ მოგნახავთ თქვენს ხვრელებშიო!“

---

ლობისა, კაცად-კაცობისა, ქველობისა, სათნოებისა; აღდგენა და დამუშავება დედა-ენისა, უკუღმართის ბედისწერისაგან თითქმის გაღარიბებულისა....

აი ამ საშუალებით შეიძლება ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ერის აღდგენა და წარმატების გზაზედ დაყენება...

მართალია, ამასთანავე საჭიროა აწ მყოზედაც ზრუნვა და მისი არსებითი საქმეების შემუშავება, მაგრამ ამ საჭიროების მნიშვნელობას ფერი უკრთება პირველის უაღრესობასთან...

მაშასადამე, ყოველი ქართული გამოცემა, თუ კი მას ჰსურს საქართველოს, მის წამებულს და გმირულს ეროვნებას სამსახური გაუწიოს, ხელს უნდა ჰკიდებდეს **უმთავრესად და უპირატესად** პირველს საშუალებას და **მასთანვე** არ ივიწყებდეს მეორესაც...

ასე იქცევიან ყველა იმ ღირსეულ ხალხთა ჟურნალ-გაზეთები, რომელნიც ჩვენისთანავე ფარგალში არიან... ამ გვარადვე, ამ მიმართულების იყვნენ და არიან ქართული საუკეთესო დროგამოშვებითნი გამოცემანი „**საქართვე**ლოს მოამბე“ „მნათობი“ „კრებული“ „ივერია“ გაზეთად და ჟურნალადაც და ჩვენი გაზეთი დაარსების დღიდამ დღევანდლამდე...

სულ წინააღმდეგს აპირობს ნორჩი „შრომა“. ის მხოლოდ ერთ ალაგას გაკვრით ამბობს, რომ „**მოაგონებს** მკითხველებს ჩვენს ვინაობას, წარსულს ჩვენს ვითარებასა, და ერთობის დროს.“ ამ ნაირად, უპირველესს სახსარს, რომელსაც უნდა ხმარობდეს ყოველი **ქართული** გამოცემა, „შრომა“ ხდის სა-სხვათა-შორისო საშუალებად, და იმასაც რა ნაირად უპირებს ხმარებას? „მოგონებით!!.“ რომ ამ „მოგონებით“ არ დაკმაყოფილდება არც მეათასედი ნაწილი საჭიროებისა, ეს იქიდამ სჩანს, რომ თანამედროვე ქართველებმა, სხვა სამარცხვინო ვითარებათა—(მოგვყავს „შრომის“ სიტყვები),—ერთი **ღირსება***) კიდევ **ზედ დავუმატეთ: დავივიწყეთ** ჩვენი ისტორია და (ჩვენი) დედა-ენა, ესე იგი, დავივიწყეთ რაც ერის სიცოცხლეს და არსებობას გამოხატავს. როგორ გნებავთ წარმატების გზაზედ დააყენოთ ამისთანა ერი, რომელსაც დაუვიწყებია (მკაცრად თუ ვიტყვით) ენა და ისტორია მისი სიცოცხლის გამომხატველი, ანუ უკეთა ვსთქვათ, მისი თვითება და სული*),—თუ არ აღდგინებით ამავ თვითებისა და სულისა, თუ არ მათი განწმენდით, დამუშავებით და გამდიდრებით? დამეთანხმეთ, „სხვათა შორის ხელის მოკიდებით“ შეუძლებელია ამის, ცოტაც არის, რიგიანად ასრულება.

ამით ის კი არ გვინდა ვთქვათ, რომ „შრომისაგან“ სარგებლობას არ უნდა მოველოდეთ-მეთქი. არა. ეჭვი არ არის, რომ იმ მიმართულებითაც, რომელიც განსაზღვრულია ამ გაზეთის № 1-ში, უსარგებლოდ არ ჩაივლის მისი მოღვაწეობა. ჩვენ გვსურდა და გვსურს მხოლოდ, რომ მოხსენებული მოღვაწეობა უფრო ნაყოფიერი ყოფილიყო ჩვენგან ზემოთ მოხსენებულის მიმართულებაზე დადგომით...

დასასრულ ვითარცა ქუთაისის მემატიანეს არ შეგვიძლია გამოუცხადებლად დავტოვოთ ჩვენი სიხარული ჩვენს ქალაქში გაზეთის გამოცემის გამო. იმედი გვაქვს, და გვგონი არ მოვტყუვდეთ, რომ ის ჩვენ ღირსეულს შემწეობას მოგვცემს საზოგადო მომქმედ პირთა ღვაწლის ღირსებისამებრ დასაფასებლად, „საადგილმამულო“ და „საურთიერთო“ კრედიტის ბანკების საქმეთა მდგომარეობისათვის თვალ-ყურის სადევნელად,

---

*) გაზეთს, ალბად, უნდოდა ეთქვა „თვისება“, რადგანც თვითონც დაგვეთანხმება, რომ ენის და ისტორიის დავიწყება არ არის ღირსება.

ავტ.

*) შემთხვევით მკითხველს „შრომისას“ შეუძლია ამ გაზეთს გეოგრაფიის და ეტნოგრაფიის უცოდინარობა დააბრალოს. ერთს ადგილას (3 გვერდ 4 სვეტ.) მაგალითად დაბეჭდილია:

„...თუ იმერეთშიაც იმ გზაზე არ იქნება სამთლის საქმე დაყენებული, როგორც საქართველოში, მაშინ... და სხვ.“

თითქო იმერეთი საქართველოში კი არ იყოს, არამედ უცხო ტომის უცხო ქვეყანა იყოს!! ჩვენ არ გვინდა ამისთანა საზიზღარი შეცდომა უცოდინარობად ჩამოვართვათ ახალ დაბადებულს გაზეთს, რომ ამისთანა შეცდომებით იგი უფრო არ ავიწყებინებდეს თავის მკითხველებს ისტორიასთან ეტნოგრაფიასაც.

ავტ.

გამბეტტას მეთაურობის ქვეშ წარსდგა სიკ რადიკალური პროგრამმით ტონი რევილლიონის მოწინააღმდეგედ. ეს უკანასკნელი უმტკიცებდა სხდომაში ამომრჩევლებს, რომ სიკ რადიკალი არ არის და თუმცა რადიკალური პროგრამმა აქვს მას, ამ ოპპორტუნისტის ოინით უნდა გადაგიბიროსთ თავის მხარეზედ და ამორჩევის შემდეგ ამ პროგრამმას უკუაგდებსო. სიკის პარტიამ, როდესაც დაინახა, რომ ამომრჩევლების უმეტესობა რევილლიონის მხრისაკენ არის, მოიგონა შემდეგი ხერხი. ერთ სხდომაში ტონი რევილიონს ამტყუნებდენ, რომ ვითომც მას შეეცდინოს თექვსმეტი წლის ქალი, სამაჯულომდინ მისულიყოს ვითომც საქმე და რევილლიონს სასჯელი ელოდა, თუ რომ გამბეტტას არ ეშველებია. ეს ამბავი, რომ ცოცხალი ტყუილი არ გამომდგარიყო, რევილლიონს უნდა დაეკარგა ყოველივე ზნეობითი ძალა ამომრჩევლების თვალში. რაღა ლაპარაკი უნდა, ცილის-წამების მიზანიც ეს იყო.

ამორჩევების დროს გავრცელებული და სუყველა პარტიებისაგან ხმარებული საშუალება—ცილის-წამებაა. ამას გარდა რა ნაირი ხრიკები არ გინდათ, რომ მოპირდაპირეებმა არ გამოიგონონ ერთმანეთის დასამარცხებლად? მაგალითად მეცხრე უბ.ნ-ში პარიჟისა წარსდგა სამი კანდიდატი: რადიკალი, ოპორტუნისტის და პროგრესიულ პარტიისა. ეს უკანასკნელი—ფარსი გავრცელებული გაზეთის „ლა-ფრანსის" რედაქტორია, ის მოწინააღმდეგეა პიროვნული, დიქტატორული გამბეტტას პოლიტიკისა. ამორჩევის დღის მოპირდაპირეებმა გამოაცხადეს აფიშებით ფარსის არ უყაროთ კენჭი, ეს იყო იმპერიის დროს სუპრეფექტათო (ვიცე-გუბერნატორიო). თუ ვისმე ერთხელ იმპერიის მმართებლობაში რამე არდგილი ეჭირა, ან თუ ვინმეზედ რამე ძველი შეცოდება ითვლება, ნუ ელის, რომ შებრალებული იქნეს ან შენანებული; განსაკუთრებით რადიკალები ამ შემთხვევებში ძრიელ განმრჩევი არიან; მათ ბანაკში ნუ ვინ იფიქრებს გარდასვლას, თუ განსპეტაკებული არ არის სულით და ხორცით.

მხლანდელი ამორჩევები რადიკალებისთვის უფრო სასარგებლო იქნა, ვინემ წინეთ 21 აგვისტოს ბელვილში, ტონი რევილლიონის ამორჩევამ მაინც დაგვირგვინა მათი ძლევა. რადიკალებს შეუძლიათ სთქვან, რომ პარიჟი ჩვენ ხელში არისო; ამ ქალაქში რადიკალებს ოცი წარმომადგენელი ჰყავთ, ბონაპარტისტებს ერთიც არ მოეძევათ.

ოთხს სეკტემბერს იქნა არჩეული: სამი მონარხიელი, ხუთი ბონაპარტიელი და დანარჩენი 56 რესპუბლიკელი.

ახალს პალატაში სულ ხუთას ორმოც-და-შვიდი დეპუტატი იქნება. ამ რიცხვიდამ ოთხმოც-და-რვა მონარხიელებს და ბონაპარტიელებს ეჭირება ადგილი, დანარჩენი 459 სხვა-და-სხვა ხარისხის რესპუბლიკელები იქნებიან.

თუმცა პარიჟში გამბეტტას სახელი და გავლენა ცოტა შეილახა, სამაგიეროდ პროვინციებში მისი სახელი სრულ თვის სიძლიერეშია.

ამ ჟამად გამბეტტამ ნორმანდიისაკენ გაემგზავრა ქ. ნევბურგში. ამ ქალაქში 4 ენკენისთვეს უნდა დასწრებოდა გამბეტტა, კაზო (იუსტიციის მინისტრი), ტირარი (მინისტრი მიწის მუშობისა) ძეგლის აღდგენას, ერთ გამოჩენილ პატრიოტის დიუპონ-დე-ლორის სახსოვრად. სხვათა შორის უნდა ვთქვა, რომ ოთხი სეკტემბერი ფრანცუზებისთვის შავ დღეთ ითვლება მათ ისტორიაში. ეს დღე მოწამეა საფრანგეთში სამხედრო ძალის დაცემისა; ამ დღეს 1871 წელში გერმანიელებისაკენ გარდავიდა ის სამხედრო სახელი, რომელიც საფრანგეთს ჰქონდა მანამდინ ევროპაში. ქ. ლუვლერიდამ დაწყებული გამბეტტას ყოველ ქალაქებში დიდით პატარამდინ დიდის ამბით ეგებებოდნენ. ერთი ზღვის პირა პატარა ქალაქ ჰონაფლერში, სადაც ახალი (ნავსადგურის) პორტის შესრულებას დღესასწაულობდენ, რომელსაც გამბეტტა უნდა დასწრებოდა, ხალხის აღტაცებამ იმ ზომამდე მიაწია, რომ უნდოდათ გამბეტტას კარეტიდამ ცხენები გამოეხსნათ და ისე წაეყვანათ.

ნევბურგში, გამბეტამ წარმოსთქვა ორი სიტყვა, ერთი დღესასწაულის და ძეგლის აგების შესახებ და მეორე პოლიტიკური. გამბეტტის სიტყვა არ შეიცავს არავითარ ახალ პოლიტიკურ პროგრამმას მომავალი პალატისთვის; ის შეიცავს მხოლოდ მეტოდას ანუ ტაქტიკას. ამ პოლიტიკური მეტოდით როგორც თვითონ გამბეტამ უნდა იხელმძღვანელოს, აგრეთვე ახლად არჩეულ დეპუტატებმა მომავალი რეფორმისათვის. აქ მსურს რამოდენიმე სტრიქონი მოვიყვანო ამ სიტყვებიდამ:

„რესპუბლიკამ, კანონიერად და პარლამენტალურად შეასრულა პირველი ნაწილი თვისი პრობლემისა,—რომელიც მდგომარეობდა შეურყეველ თვის ავტორიტეტის [illegible]. საჭიროა ეხლა კიდევ უფრო შორს გაწევა, საჭიროა ალვნიშნოთ მეორე ეტაპი რესპუბლიკური პროგრესის გზაში. მაგრამ სიფრთხილეც გვჭირია, როდესაც ყველაფერი ერთად გვინდა ვცადოთ. აჰ, ვიცი კარგათ, რომ შეადგინეს (რადიკალებმა) პროგრამები ძრიელ ვრცელი, ძრიელ სრული, ძრიელ ბევრ ნაირი: თუ ამ პროგრამებს მიიღებდნენ და მისს განხორციელებას მოისურვებენ, ვკითხავდი ერთს: რას დაუტოვებდნენ ოც-და-მეერთე საუკუნეს საქმელად. (სიცილი და ნიშანი თანხმობისა) მე არა მგონია, ბატონებო, რომ ეს საფრანგეთის სურვილი იყოს; ის არ თხოულობს, რომ აილონ რომელიმე საგანი, განიხილონ, შეისწავლონ ის და გატასწყვიტონ. ამ გვარადვე სხვა საგნებსაც უნდა შეუდგეთ."

შემდეგ გამბეტტა ამბობს, რომ რესპუბლიკას ჩვენს ქვეყანაში—მაგრად აქვს ფეხი გადგმულიო და ეხლა გვჭირია დემოკრატიული რეფორმები; მაგრამ მე არა ვარ მსურველი ყველა ადამიანების გამათანასწორებელის, უტოპიური დახიმერული რეფორმებისა, არამედ—გონიერი, მოფიქრებული და დროინი რეფორმებისო. გამბეტტა რადიკალებს უწოდებს უტოპისთებად, ესე იგი იმისთანა კაცებად, რომელთ პლანები სახელმწიფო ან სამოქალაქო წყობილობისა აუხდენია შეუსრულებელი ოცნება.

21 აგვისტოს და 4 სეკტემბრის ამორჩევების შემდეგ ორი პოლიტიკის დევნა, ერთი მეორის წინააღმდეგი, ძრიელ გარკვევითა სჩანს. ერთი პოლიტიკა ავტორიტეტისა,

---

„ბნელეთის" ათას გვარ ადამიანებისთვის „გაზების წასაჭერად" და სხვ...

—

გაზებისა რა მოგახსენოთ და უფრო ლვლეჭით შესაკვრელი რამაა ქვემოხსენებული პირები, ვიდრე საზოგადო დაწესებულებაში ადგილის მიცემისა—ამაში ეჭვი არ უნდა იყოს...

საქმე გახლდათ ქალაქის რჩევის სხდომის დროს 5 ამ თვისას. სხვა საქმეთა გარდა პირველად უნდა განეხილათ გამგეობის წევრობის ერთი კანდიდატის თხოვნა, რომელმაც პირობა დასდო მომავალს არჩევანამდი მუქთად აღვასრულებ გამგეობის წევრის თანამდებობას, გარდა მისს ზოგიერთ მოვალეობისაო, მაგრამ ეხლა განაცხადა, რომ ოჯახობის გარემოების გამო მას აღარ შეუძლია ნახევარი თანამდებობის ასრულება და თხოულობს ამ ადგილიდამ განთავისუფლებას... კანონიერი და სამართლიანია თუ არა ეს თხოვნა—ეს თვითონ მკითხველმა განსაჯოს. ჩვენ იმას ვიტყვით მხოლოდ, რომ რაც უნდა უკანონო ყოფილიყო ეს თხოვნა, შეიძლებოდა მისთვის ზრდილობიანის პასუხის მიცემა. ალბად ასე არ ჰფიქრობდა ის ხმოსანი, რომელმაც ზემოხსენებულს კანდიდატს მიჰმართა უშვერის სიტყვებით და სხვათა შორის უწოდა პოდლეცი, უსინდისო, უპირო და სხვ. და სხვ...

კანდიდატმა სთხოვა თავის პიროვნების დაცვა თავს-მჯდომარეს—ქალაქის თავს. ამ უკანასკნელის შენიშნვის მიცემამ ვერაფერი გაარიგა და ანჩხლი ხმოსანი აგრძელებს ლანძღვას... არ დაურჩა მოვალეთ კანდიდატიც და უგო შესაფერი პასუხი: „ბრაზიან ძაღლს დაბმა უნდაო" და ამ გვარი... ხმოსანი სულ ახალ-ახალ შესამკობ სიტყვებს ისვრის, ასე რომ გააბრუა კანდიდატი. დანარჩენი ხმოსნები და თავი გონზე ვერ მოსულან ამისთანა სამწუხარო და უჩვეულებრივო სცენისაგან... იმის მაგიერ, რომ კანდიდატს დაეტოვებინა სხდომის დარბაზი ან კვლავად მიემართა თავისათვის თავის პიროვნების დასაცველად, მან აირჩია ლინჩის კანონი, შებღავლა მლანძღველს ხმოსანს: **я тебѣ по мордѣ дамъ** (ე. ი. ცხვირ-პირში ჩაგაფარებო) და მიიწია მისკენ... შეიქნა ფუს-ფუსი და ჩოჩქოლი ხმოსნებში, რამდენიმე მათგანი ჩაუარდენ წაჩხუბებულთ შორის და თავმა დახურა სხდომა...

—

მოიგონეთ რა სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ქართველ საზოგადოებაზე საადგილ-მამულო ბანკის ზოგადი კრების გარდაწყვეტილებამ (წასრულს მაისში), რომლითაც აქაურს საქალებო გიმნაზიას შესწირეს 21,600 მანეთი 18 წლის განმავლობაში ყოველ წლობით უნდა ეძლიოს 1,200 მან.) იმ პირობით, რომ ქართულს ენას მიექციოს ჯეროვანი ყურადღება და მიეცეს შესაფერი ადგილი, თუ არა და მოუსპონ ამ გიმნაზიას გადაჭრილი შეწირულების ძლევა. ყველას გვეგონა ეს გარდაწყვეტილება ასრულებული იქნებოდა, რადგანც, თუ არ ბუნების კანონის მოთხოვნილებას და ერის სურვილის „ვინგანც ჯერ იყო ასრულება" ისინი ფულებს მაინც სცემენ ძლიერს პატივს... შენც არ მომიკვდე, ყურიც არის გაუპერტყია ქართულისათვის შესაფერის ადგილის მისაცემად! მაგრამ რადგანც ჩვენი ხალხი საზოგადოდ და თავად-აზნაურობა კერძოდ მათ სულელად მიაჩნიათ, ამიტომაც, მათის ჭკუით, ამათ თვალის ასახვევად—რომ ფულები არ წაგვართვანო,—შემდეგი „ხრიკიანობა" ჩაიდინეს: ანბანის უცოდინარი მასწავლებელი დაითხოვეს და მისს მაგიერ მიწვევას უპირობენ ანბანის მცოდნე კაცს. პროგრესსია რაღა... ამ რიგად თვითონ ქართული ენა ისე სამასხაროდ აგდებული, გმობილი და უფლების გარეშე საგნად რჩება, როგორც დღემდის იყო ჩვენდა სასირცხოდ...

თუ გვინდ მოვირეცხოთ ეს სირცხვილი ავასრულოთ ჩინებული გარდაწყვეტილება სათავად-აზნაურო ბანკის კრებისა, ე. ი. ან ქართულ ენას ისე ასწავლიდნენ როგორც სხვა ენებსა მის მასწავლებელსაც სხვა მასწავლებელთა თანაბარი უფლება ჰქონდეს და თვით ის იყოს განათლებული პირი, ან და პირობისამებრ ფულებს ნუღარ მივცემთ, გვეყოფა რაც მიგვიცია და დაგვიკარგავს.

მეორე თავისუფლებისა. პირველის-წარმომადგენელია გამბეტტა; მეორის რადიკალები (კლემანსო მოთავე).

ა. გეგუთელი.

პარიჟი, 27 აგვისტოს (8 სექტ.)

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ო რ შ ა ბ ა თ ს.** გარალევიჩი და ლისიცევი — შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ს ა მ შ ა ბ ა თ ს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი — შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში — სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი — ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ო თ ხ შ ა ბ ა თ ს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში — სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი — ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი — ძარღვების სისუს- ავათმყოფობისა.

**ხ უ თ შ ა ბ ა თ ს.** ლისიცევი — შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში — სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი — ძარღვების ავათმყოფობისა.

**პ ა რ ა ს კ ე ვ ს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი — შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში — სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი — ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შ ა ბ ა თ ს.** ლისიცევი — შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში — სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი — ძარღ. სისუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი


### სააზნაურო სკოლის გამგე კამიტეტისაგან

I

თავად-აზნაურთა საზოგადოების სკოლის გამგებელი კამიტეტი ამით აცხადებს, რომ დედ-მამანი და ნათესავნი ამ სკოლის მოწაფეებისა, რომელნიც მიღებულ-იქმნენ პანსიონში თავის ხარჯზედ, ვალდებულნი არიან შემოიტანონ ნახევარი ჯეროვანი ფულისა პირველს სექტემბერსა და მეორე ნახევარი პირველს იანვარსა, რომელთ პანსიონერის შესახებაც არ აასრულებენ ნათესავნი ამ მოვალეობას დანიშნულს ვადაზედ იგი დათხოვნილ-იქმნება პანსიონიდგან.

II

თავად-აზნ. საზოგად. სკოლაში გაიხსნა მეოთხე მასწავლებლის ადგილი. ვისაც ამ ადგილის დაჭერა სურს, თხოვნა და დოკუმენტები ამ თვის თოთხმეტამდის უნდა მისცეს გამგე კამიტეტის სახელზედ სკოლის ინსპექტორს, რომელიც სცხოვრებს სოლოლაკზედ ბაისაღოლოვის სახლებში, ძველს ინსტიტუტის ქუჩაზედ, №19. (3—1)

---

### თბილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისაგან

გამგე თბილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისა ამით აცხადებს, რომ ბანკი ამ ჟამად იმყოფება სოლოლაკის ქუჩაზე, თ. ირაკლი გრუზინსკის სახლებში. (1—1)

---

გ. იოსელიანისა და რეცოლდის პანსიონში და სკოლაში იღებენ ყმაწვილებს ყოველ საშვალ სასწავლებლებში მოსამზადებლად.

მიხაილოვის ხიდთან, ნიკოლაევსკის ქუჩის კუთხეში, კნეინა გრუზინსკის სახლებლში № 21. (5—1)

---

### დაიბეჭდა და ისყიდება გრიქუროვის მაღაზიაში

აღსნა ლოცვებისა, სიმოვოლ-სარწმუნოებისა და მცნებებისა

სასოფლო, საერო და სამოქალაქო სასწავლებელთათვის

შედგენილი კავკასიის აქეთა მხარის სამოსწავლებლო სემინარიის სღრმთო სჯულის მასწავლებლის

მღვდლის ლაზარე ტურიევისაგან.

ფასი—20 კაპ.

იბეჭდება და მალე გამოვა მღვდლის ტურიევისავე: სახელმძღვანელო საღრმთო ისტორიისა ძველის და ახალის აღთქმისა სურათებით. (6—2)

---

### ინგლისის მაღაზიაში

არწრუნის გალლერეიაში

(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | ჩაის ყველგან |
|---|---|---|
| — — | 1 მ. 10 კაპ. | — 1 მ. 40 კაპ. |
| — — | 1 „ 20 „ | — 1 „ 60 კაპ. |
| — — | 1 „ 40 „ | — 1 „ 90 კაპ. |
| — — | 1 „ 60 „ | — 2 „ 20 კაპ. |
| — — | 1 „ 80 „ | — 2 „ 50 კაპ. |
| საუკეთესო | 2 მანეთ. | — 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—38)

ჩაის მცოდნე, პირმა და მსურველმა უნდა იყიდოს ჩაი, პირველი მოკრეფილისა ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ყველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია აძლევს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტყვიოთ. (100—32)

---

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაი-გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შხო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩევინი ზეთისა) და სხვ. საგენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდების ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭაკინას გიარები. (100—20)

---

გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.

ხატაური — — — 10 კ.

---

ინგლისის მაღაზიაში

თმის ამო-მყვანი



მაკ-მას-ტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ (100—27)

---

# ისყიდება

25% ნაკლებ მინამ სხვა ალაგას ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკები, ფოდნოსები, პირის-საბანი, კლიტეები, სამურველი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრაგები, პლაშჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლიონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტაშტები, პირისსახოცი, ცხვირის-სახოცი, ჩულქები, ტუალეტის საპონი, დუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—**ინგლისის მაღაზიაში.** იქვე ჩაი ვაჭართათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხის 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან, ჩოკ-ბორ (*choke bore*) *Ceorge Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დანები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში. (100—5)

---

4 აპრილს 1866 წლის სახსოვრად გამართულის ქალაქის საავათმყოფოს გამგეობა აცხადებს, რომ პირველ ენკენისთვიდამ ავათმყოფების მიღება ამ საავათმყოფოში დაიწყება დილის 9 საათზე და გათავდება ნაშუადღევის 2 საათზე. (3—2)

---

### ახლად მიღებულია

ინგლისის მაღაზიაში დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა. 30% უფრო უკეთესი ვიდრე სადმე სხვაგან. იქვე ისყიდება: პაროესინა არშ. 40 კა. სტაქნები და ბაკლები 10 კაპ., პადნოსები 5 კაპ. მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (25—24)


---

### ტაქსია

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 15 დღის განმავლობაში, 1 სექტემბრიდამ 15 სექტემბრამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | — |
| მეორის „ | —1 გირ. | 4 კ. |
| მესამის „ | —1 გირ. | $3\frac{1}{2}$ |

იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 6 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | $4\frac{1}{2}$ |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 7 კ. |
| მეორის „ „ | —1 გირ | $5\frac{1}{2}$ |
| მესამის „ „ | —1 გირ. | 5 კ. |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 9 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 7 კ. |
| სუკი — — | —1 გირ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 9 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | 14 კ. |
| მეორის „ | —1 გირ. | 12 კ. |

ეს ტაქსია არ შეეხება სოფლის მწარმოებლებს, რომელთაც თფილისის ბაზრებში და მაიდნებზე მოაქვსთ ხორაგი გასასყიდლად.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Сентября 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი